# 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღეა!


# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

5 მაისი
ხუთშაბათი
2022 წელი
№18 (9228)
ფასი 40 თეთრი


## საქართველომ შეავსო ევროკომისიის კითხვარი



**საქართველოს** პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა**, მთავრობის ადმინისტრაციაში, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს **კარლ ჰარცელს** ევროკომისიის კითხვარის პირველი ნაწილი გადასცა, რომელიც ქვეყანამ უკვე შეავსო.

- მაქვს პატივი, გადმოგცეთ ევროკომისიის კითხვარზე ჩვენი პასუხები, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ წარდგენილ განაცხადზე დასკვნის მოსამზადებლად, - განაცხადა პრემიერმა.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ მისთვის პატივია ამ ისტორიულ პროცესში მონაწილეობა.

- მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო კიდევ ერთი ისტორიული მომენტის მონაწილე და თქვენს გვერდით ვიდგე ამ ცივილიზაციური არჩევნისკენ მიმავალ გზაზე, - განაცხადა **კარლ ჰარცელმა.**

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება, ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება განაგრძობს ინტენსიურ მუშაობას კითხვარის მეორე, სექტორული ნაწილის შევსებაზე, რომელიც 33 თავს მოიცავს 2300-მდე კითხვას აერთიანებს. **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებით, საქართველოს მთავრობის სურვილია, კითხვარის მეორე ნაწილი ევროკავშირს დათქმულ ვადაზე ადრე მიაწოდოს და ამისთვის უწყებები ძალისხმევას არ დაიშურებენ.

როგორც ცნობილია, შევსებული კითხვარის მიღების შემდგომ, ევროკომისია დაიწყებს საკუთარი შეფასების ანგარიშის მომზადებას, რომელიც ევროკავშირის საბჭოს გადაეცემა და საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს მიიღებს.

## მიწის რეფორმის რეგისტრაცია იწყება

**სახელმწიფო** რწმუნებული სამცხე-ჯავახეთში **ბესიკ ამირანაშვილი**, რწმუნებულის მოადგილე **შალვა ბერძენიშვილი**, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოების თავმჯდომარეებთან ერთად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს **ოლეგ (ბაჩო) თორთლაძეს**.



საინფორმაციო შეხვედრა მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში გაიმართა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022 - 2024 წლებში საქართველოს 59 მუნიციპალიტეტის (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა) კერძო, სახელმწიფო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს ეტაპობრივად აზომავს და დაარეგისტრირებს.

მიწის სისტემური რეგისტრაცია ქვეყნის 1000-ზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს. რეფორმის შედეგად, ქვეყნის დაახლოებით 1/3 დარეგისტრირდება, უძრავი ქონების შესახებ სრულყოფილი უფლებრივი და საკადასტრო მონაცემები შეიქმნება და უძრავი ქონების ბაზარი განვითარდება.

შეხვედრაზე სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებს მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის შესახებ დეტალური და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. საუბარი სოფლებისა და დაბების დამისამართების საკითხებსაც შეეხო. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

მიწის სისტემური რეგისტრაცია 2024 კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების განრიგის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3Igl2nV

## „ბორჯომი“ წარმოებას სანქციების გამო დროებით აჩერებს

## კომპანიის განცხადება

- უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან კომპანია „IDS ბორჯომი საქართველო“ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. კომპანიის პროდუქციის რეალიზაციის ძირითად ბაზრებზე შექმნილ რთულ ვითარებას დაემატა საბანკო ანგარიშებზე შეზღუდული წვდომა, რამაც კომპანიას ჩაუკეტა სავალუტო შემოსავლების მიღებისა და კრედიტორებთან ანგარიშსწორების შესაძლებლობა.

კომპანია დღემდე სიტუაციის არსებითი გამოსწორების იმედით აგრძელებდა ფუნქციონირებას, რაც სამწუხაროდ ამ დრომდე ვერ მოხერხდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანია იძულებულია, ა/წ 29



აპრილიდან დროებით შეაჩეროს ბორჯომის ჩამომსხმელ ორივე ქარხანაში წარმოების პროცესი.

იმედს ვიტოვებთ, რომ ვითარება უახლოეს მომავალში გამოსწორდება და მოგვეცემა ფუნქციონირების განახლების შესაძლებლობა.

## მაღალი ხარისხის წამლები იაფად

**პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 17 იანვარს, თურქეთის ფარმაცევტული ბაზარი გაიხსნა.**

**შედეგად ქვეყანაში სხვადასხვა დაავადებების, მათ შორის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო, მაღალი ხარისხის წამლები 70%-დან 80%-მდე ნაკლებ ფასადაა ხელმისაწვდომი.**



## რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს

**ე.წ. „ორბიტის“** მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო სამუშაოები გასულ წელს დაიწყო და მიმდინარე წელს დასრულდება.




პროექტის ფარგლებში, შეიცვალა სახურავი, სრულად განახლდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, აივანი და კარფანჯარა, მოეწყობა დეკორატიული ელემენტები და განათება.

სახლის წინ მოიჭრა მრავალწლიანი ხეები, რომლის ფესვები სერიოზულად აზიანებდა შენობის საძირკველს.

მიმდინარე წელს ბორჯომში, სააკაძის ქუჩის №2, აღმაშენებლის №35, მესხეთის №35 და №61-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია განხორციელდება..

ფასადების რეაბილიტაციის პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონალური განვითარების ფონდიდან 451 000 ლარით ფინანსდება.

შეგახსენებთ, რომ 2021 წელს ბორჯომში შვიდი მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია განხორციელდა.

## ცენტრალური ისტორიულ პარკი საკურორტო სეზონისათვის ემზადება



**მიმდინარე** წელს ბორჯომის პარკში ახალი ატრაქციონი მოეწყობა, ასევე დაგეგმილია ორი ელექტრომობილის შეძენა. რისთვისაც საქართველოს მთავრობამ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას 300 ათასი ლარის ოდენობის გრანტი გადასცა. ასევე, ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე დაიდგმება 8 ახალი წიგნის ფორმის სავაჭრო ჯიხური.

აქტიურად მიმდინარეობს პარკის ტერიტორიის დასუფთავების და გამწვანების სამუშაოები.

იგეგმება არსებული ატრაქციონების რეაბილიტაცია, სკამებისა და სანაგვე ურნების განახლება. ჩატარდება ხიდების, ატრაქციონებთან არსეული მოაჯირებისა და გარე განათების ბოძების სამღებრო სამუშაოები.

**ბორჯომის** მერმა **ოთარ არბოლიშვილმა** და ბორჯომის მერიის მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.



ხელისუფლების წარმომადგენლები მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ადგილზე გაეცნენ და სამუშაოების მიმდინარეობის ხარისხი შეისწავლეს.

**ბორჯომში ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.**

**ამ ეტაპზე** მიმდინარეობს შანიძის ქუჩის №24-ში, სკვერის მოწყობა.

პროექტი დასასვენებელი სივრცის, შიდა ბილიკების, გასართობი მოედანის, საბავშვო ატრაქციონების, ფანჩატურის, ბორდიულის, საყრდენი კედელის მოპირკეთდებას, გამწვანებას და სკვერის განათების მოწყობას ითვალისწინებს.

**რუსთაველის** №34-39-ში დასრულდა, შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია. პროექტის ფარგლებში, დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო გზის დამცავი კედლი და ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი კიბეები.

- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გეგმაზომიერად მიმდინარეობს. ჩვენ ეტაპობრივად ვასრულებთ რეაბილიტაციას ისეთ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე, რომლებსაც 70-იანი წლების შემდეგ არავინ შეხებია. ვაწყობთ დასასვენებელ სივრცეებს, - განაცხადა **ოთარ არბოლიშვილმა.**

## ფირმების, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

## გადავარჩინოთ გაზეთი „ბორჯომი“!

90 წლის რაიონულ გაზეთ „ბორჯომს“ ქვეყანაში არსებული კრიზისისა და ცხოვრების გაძვირების გამო გარკვეული ფინანსური სიძნელეები შეექმნა. 100%-ით გაგვიძვირეს გაზეთის ბეჭდვა. იძულებული გავხდით, შეგვემცირებინა რედაქციის თანამშრომელთა ისედაც მიზერული ხელფასები, ვეღარც ფერად ილუსტრირებულ გაზეთს ვბეჭდავთ.

**ახლა ისევ თქვენი იმედი გვაქვს! გთხოვთ, გაიღოთ გარკვეული რაოდენობის თანხა და გახდეთ ცალკეული ნომრის სპონსორი.** ამავე დროს გაზეთის ფურცლებზე უფასოდ გამოვაქვეყნებთ თქვენი ორგანიზაციის განცხადებებს, მილოცვებს და სხვა მასალებს. თუ თანახმა იქნებით, საწარმოს (ორგანიზაცია-დაწესებულების) ან ცალკეული თანამშრომლების შესახებ მოვამზადებთ საგაზეთო წერილებს.

**ყოველგვარი რეკლამა და ქველმოქმედება გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

გაზეთის გაუქმება ძნელი არაა, მისი აღდგენა გაჭირდება.

გახსოვდეთ, რაიონული გაზეთი მოსახლეობისათვის უპირველესი ინფორმაციის წყაროა!

გაზეთში გამოქვეყნებული რეკლამა ემსახურება თქვენი კომპანიის ფირმის წინსვლას.

**მოგიწოდებთ, გადაარჩინოთ საუკუნეს მიღწეული გაზეთი.**

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისათვის!


ჩვენი საბანკო რეკვიზიტებია:
შპს „პრესა“
ს/კ 226110749
ლიბერთი ბანკი
GE29LB0113141250316000
GE20TB0156136080100004
LBRTGE22 TBCBGE22G
ელ.ფოსტა: ტელ: 22 29 65,
borjomipress9@gmail.com
ტელ: 599 22 79 29
borjomi@inbox.ru
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №2.
გაზეთი „ბორჯომის“ რედაქცია


## საზოგადოება „ბორჯომელების“ წევრთა საყურადღებოდ!

**2022 წლის 13 მაისს მუსიკალური სკოლის სააქტო დარბაზში გაიმართება სამოქალაქო საზოგადოება „ბორჯომელების“ წევრთა შეხვედრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან.**

**დღის წესრიგშია: „ზაფხულის საკურორტო და ტურისტული სეზონისათვის მზადება“.**

**შეხვედრაზე ვიწვევთ; ბორჯომის საპატიო მოქალაქეებს, ფირმების, დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რიგით მოქალაქეებს, ყველას ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური ბორჯომის მომავალი.**

**დასაწყისი დღის 15 საათზე.**

**სამოქალაქო საზოგადოება „ბორჯომელების“ გამგეობა**

### გამარჯვების დღესასწაული გენერალისიმუსის გარეშე!

# აბა, რა ეგონა პუტინს, სტალინს რომ ღალატობდა?!

**ღალატში ვგულისხმობ:** ყოველ წელს, 9 მაისს, რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში იმართება გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი პარადი, როგორც სამხედრო აღლუმი, ასევე მშრომელთა დემონსტრაცია. რაც ნამდვილად მისასალმებელია, როცა ქვეყანა არ ივიწყებს თავის ისტორიას და მართლაც ფაშიზმთან სასწაულებრივ გამარჯვებას ზეიმობს. (რუსებს ახლაც კი უკვირთ სტალინური არმიის გამარჯვება გერმანელებთან. ახლა აანალიზებენ ამ გამარჯვების „საიდუმლოს“. ამის შესახებ წერილი დაბეჭდა „ლიტერატურნაია გაზეტამ“, „სასწაული ძლევისა“, რომელიც ამ ოთხი თვის წინ გამოაქვეყნა „საქართველოს რესპუბლიკამ“, იქიდან „ბორჯომმა“ გადმობეჭდა). და, აი, იმ დროს იმ ხალხში რომ ჩამოფრენილიყო, ვთქვათ, უცხოპლანეტელი და ეკითხა: ვისი ხელმძღვანელობით გაიმარჯვეთ ამ გრანდიოზულ ომში, მისი ერთი სურათი მაინც სადმე რატომ არ ჩანსო? – რასაკვირველია, პუტინს და მის გარემოცვას ენა მუცელში ჩაუვარდებოდა! მაგრამ იქ მდგარი ხალხისათვის რომ დაესვა იმ „უჩინმაჩინს“ იგივე კითხვა, დარწმუნებული ვარ, **ხალხის პასუხი – შეძახილი „სტალინის ხელმძღვანელობითო!“ – შეარყევდა წითელ მოედანსაც და კრემლის კედლებსაც!**

პუტინი ყოველთვის სიტყვას წარმოთქვამს ამ დღესასწაულზე და ერთხელაც არ ახსენებს სტალინს; „ხალხმა გაიმარჯვა ამ ომშიო“. ეს მართალია, მაგრამ მთაში 6 წლის ბავშვმაც კი იცის, რომ ფარას თუ ვაცი არ წაუძღვა წინ, კლდეზე გადაიჩეხება! როცა გამარჯვების სულისჩამდგმელს არ ასახელებ, ეს ხომ ისტორიის დამახინჯებაა? ვინ ჩაჰბერა მაშინ მეომრებს გმირული სული, როცა ამბობდა: „ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთო!“? ვინ ჩაატარა 1941 წლის სუსხიანთოვლიან 7 ნოემბერს წითელ მოედანზე სამხედრო პარადი, როდესაც მტერი მოსკოვთან 20 კილომეტრში იყო მომდგარი და მეომრები პარადიდან პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ? გამარჯვებას ზეიმობ და გამარჯვების მომპოვებელს არ ასახელებ? ასეთი კურიოზი შეიძლება სხვაგან სადმე ხდებოდეს? **(ჟუკოვზე აკეთებენ აქცენტს, „გამარჯვების მარშალიო“, იმიტომ რომ რუსია!** ეს ის ჟუკოვია, ბერლინის აღების შემდეგ ვაგონებით ოჯახისთვის რომ წამოიღო ნაძარცვი ფასეულობა!)

მაინც რა ისეთი ტაბუ დაადეს სტალინის სახელს, რომ არ იხსენება იგი ხრუშჩოვის შემდეგ კრემლის პოლიტიკურ მმართველობაში? **მის სისასტიკესთან ერთად (რომელიც მეტწილად სამართლიანი იყო!) მთავარი მიზეზი არის ის, რომ იგი არის (იყო) ქართველი! აქ გამოჩნდა პუტინის (სხვა ხელმძღვანელების)** – ველიკორუსული შოვინიზმი. და ეს მაშინ, როდესაც სტალინმა რუს ერს **„დიდი რუსი ერი“** უწოდა და ამბობდა: როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მე აღმზარდა რუსმა ხალხმაო. საბჭოთა კავშირში სხვადასხვა ერების ერთობა და ძმობა საარაკო იყო და სწორედ ამ ერთობამ გაიმარჯვა დასახელებულ ომში. (სტალინისადმი პუტინის ღალატის გამოვლინებაა საქართველოში, ცხინვალის რეგიონში შემოჭრა, უვიც სეპარატისტებს მხარი დაუჭირა და ქართველების და ოსების ისტორიული ძმობა შუაზე გახლიჩა!)

ეს სამარცხვინო შოვინიზმი კი დაიწყო 1956 წლიდან, როდესაც გულბოროტმა და შოვინისტმა ნიკიტა ხრუშჩოვმა დაგმო სტალინის მოღვაწეობა. შემდეგ სტალინი მავზოლეუმიდან გამოასვენეს და კრემლის კედელთან დაკრძალეს. კიდევ კარგი, უბრალო რუსი ხალხი პუტინივით და მისი წინამორბედებივით ასე არ ფიქრობს და **კრემლის კედელთან სტალინის ძეგლის გარშემო ყვავილების თაიგულების მიტანა არ წყდება.** (ვეთანხმები აზრს, რომ 1941-1945 წლის ფაშისტებთან ომი მოიგო ორმა ქართველმა: იოსებ სტალინმა და ლავრენტი ბერიამ!) კაცობრიობის ისტორიაში არც ერთი ქვეყნის არც ერთ მმართველს სიკვდილის შემდეგ იმდენი ცრემლი არ დასდენია, რამდენიც სტალინს დაადინეს საბჭოთა კავშირში და მთელ მსოფლიოში! სანამ სტალინის ღვაწლს და სიდიადეს არ გააცნობიერებენ რუსეთის ხელმძღვანელები (ასევე საქართველოშიც!), მანამდე ვერ ჩამოირეცხავენ უმადურობის ლაქას!



**სტალინის უარყოფის გამო შეილანძღა სოციალისტური წყობილების არსი,** თანდათან დაეცა ზნეობა, აყვავდა კორუფცია და დაიშალა საბჭოთა კავშირი. (აღარაფერს ვამბობ პოლიტბიუროში მოკალათებულ მოღალატეებზე). **ბუნებრივია, ასეთ ქვეყანაში დაეცა ჯარისკაცთა მებრძოლი სულისკვეთება და მორალი,** რომელიც გადმოყვა რუსეთის ჯარსაც. ლოთი ელცინის შემდეგ მოვიდა „კაგებეშნიკი“ პუტინი. მან ბევრი რამ გააკეთა რუსეთის გაძლიერებისათვის, კარგად „წველა“ რუსეთის ბუნებრივი რესურსებით გამდიდრებული და სოკოებივით მომრავლებული მილიარდერები (მდიდრებს, ბურჟუებს ხომ ისედაც ეჯავრებათ და ეჯავრებოდათ ღარიბი სტალინი), ახალი ტექნიკური მიღწევებით შეაიარაღა ჯარი, მაგრამ **ბერიას „მოწაფეს“** „გამორჩა“ ჯარისკაცების და ოფიცრების სტალინისდროინდელი სულისკვეთებით აღზრდა. ფუფუნებას გადაყოლილი სამხედრო და პოლიტიკური ელიტა „ველარ ამჩნევდა“ ჯარის ხელმძღვანელობის ქვედა რგოლებში გამეფებულ კორუფციას და, საერთოდ, მებრძოლებში ურაპატრიოტიზმის გაძლიერებას. კიევისკენ დაძრული და 60 კილომეტრზე გაჭიმული სამხედრო კოლონა მთელი ერთი კვირა ერთ ადგილზე იმიტომ გაიყინა, რომ საწვავი გამოელიათ, რომელიც „კორუფციულად“ გაყიდული აღმოჩნდა(!) (ლოჯისტიკური კუთხით ეს რა მართვა-ხელმძღვანელობაა, კაცი ვერ გაიგებს). ეს კოლონა, აგრეთვე სხვა მოტორიზებული შეიარაღებები კარგი სამიზნე აღმოჩნდა მაღალპროფესიონალი უკრაინელი (შეიძლება „საიდუმლოდ“ უცხოელი ინსტრუქტორებიც ეხმარებოდნენ და ეხმარებიან) არტილერისტებისათვის (უკრაინაში რამდენიმე საარტილერიო სასწავლებელი არსებობს) და ადგილზე დაადუღეს ეს ტექნიკა, რითაც უდიდესი ზიანი მიაყენეს რუსეთის ჯარს. ომამდე უკრაინის საზღვრებთან ორი თვე ვითომ „წვრთნებს“ ატარებდნენ და რუსი ჯარისკაცები საშინელ ყინვაში იმყოფებოდნენ. ბევრი თბილ „პალატკებშიც“ ვერ იძინებდა, რადგან ნაწილი გაყიდული აღმოჩნდა(!). ყინვისგან და უაზრო „წვრთნებისგან“ დაღლილ-დაქანცულმა ჯარისკაცმა რა ომი უნდა მოიგოს? რუსეთის ჯარში, აგრეთვე უკრაინაში, რუსულ მოსახლეობაში აუცილებელი წინასაომარი აგიტაცია-პროპაგანდა ნულის ტოლი იყო! რუსი ჯარისკაცები (ცხადია, ნაწილი) ამბობდნენ, რომ არ ვიცოდით, თუ უნდა გვეომაო(!). უკრაინელი, რუსი თუ არარუსი ლტოლვილები ამბობდნენ, რომ „ვერ გავიგეთ, რისგან გვიცავს რუსეთიო“(!)

პუტინი ტელევიზიით გამოდის (გამოვიდა) და უკრაინული ჯარის მაღალჩინოსნებს მიმართავს: **ეგ ნაცისტი და ლიბერალი ზელენსკი როგორ ვერ უნდა მოიშოროთო!** გვიანი იყო! „კბილების ღრჭიალით“ სამხედრო ელიტაში „აჯანყებას“ (გადატრიალებას) ვერ მოაწყობ! ისინი ადრევე იდეურად „დამუშავებულნი“ უნდა ყოფილიყვნენ! (როგორც ეს გააკეთეს ამერიკელებმა ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში და გადატრიალებები მოაწყეს). გარდა ამისა, მთელი მოსახლეობა „დიდება უკრაინის“ ძახილზე ერთიანად აღსდგა უცაბედად მომხვდური მტრის წინააღმდეგ. საოცარია და აქ გამოჩნდა სტალინური თავდადება და თავგანწირვა. აგრეთვე სტალინთან მებრძოლი ბანდერების შემორჩენილი სულისკვეთებაც! (მამაკაცები საომრად დარჩნენ, ქალები, ბავშვები და მოხუცები გახიზნეს).

პუტინს თავისი გარემოცვა არ ურჩევდა უკრაინაში შეჭრას. სტალინი კი ჯერ სხვებს უსმენდა და მერე იღებდა გადაწყვეტილებას. ტელევიზორში ჩემი თვალით ვუყურე, პუტინი უშიშროების სამსახურის უფროსს ეკითხებოდა: ხომ კარგი იქნება, უკრაინაში შევიჭრათო. ამ კაცმა მიკიბულ-მოკიბულად დაიწყო ლაპარაკი, აშკარად ჩანდა, არ იყო თანახმა (ალბათ იცოდა, ჯარი რომ დემორალიზებული იყო), მაგრამ პუტინმა აიძულა, დათანხმებულიყო. **თუ სტალინს უწუნებ დიქტატორობას და სისასტიკეს, თვითონ რატომ ხარ ასეთი?**

მე არ ვამბობ, რომ რუსეთს უკრაინაში შეჭრის მიზეზები არ ჰქონდა. (იქ მართლა ფაშისტური ნაციზმი და ნეოლიბერალიზმი ყვაოდა და ნატო რაკეტების განლაგებას აპირებდა). მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო სხვა დროს და ჯარიც მართლაც სტალინური მებრძოლური სულისკვეთებით უნდა მომზადებულიყო. (მხოლოდ ლაჩრები მიმართავენ ომში გენოციდს. როგორ შეიძლებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის ასე ბარბაროსულად დახოცვა?)

ახლა ამერიკა და თითქმის მთელი ევროპა აწვდის იარაღს უკრაინას, რუსეთს კი უამრავ სანქციებს უწესებენ. ახლანდელი ომი თვისობრივად სხვანაირია. ომს იგებ „დრონებით“ და ავტომატიზირებული მართვის ზუსტი საარტილერიო და სარაკეტო დარტყმებით. რუსეთს თუ ჩინეთი და აზიის სხვა ქვეყნები არ დაეხმარნენ ეკონომიკით და შეიარაღებით, ჩემი აზრით, გაუჭირდება დონბასის და ლუგანსკის შენარჩუნებაც კი და შეიძლება ყირიმიც დაკარგოს!

**კიდევ ვიმეორებ: ადრეულმა და ახლანდელმა მმართველმა ელიტამ სტალინს რომ უღალატა (ასევე სოციალიზმსაც) ამიტომაა რუსეთი ამ დღეში!** (თუმცა უბრალო ხალხს არ უღალატია და ნუთუ დაუბრუნდება მათ მეომრებს „ძველი“ მებრძოლური სულისკვეთება? მაგრამ – როდისღა?) და ამ დღეში იქნებიან, სანამ ქალაქ „ვოლგოგრადს“ „სტალინგრადის“ სახელს არ დაუბრუნებენ!

რუსი ჯარის უძლეველობის მითი დაიმსხვრა!

**მე ეგ მაფიქრებს: ამდენი მარცხისგან გაგიჟებულმა პუტინმა ატომურ ღილაკებს არ დააჭიროს ხელი!**

**უშანგი ჯანგირაშვილი,**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის წერილი დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 18 აპრილის ნომერში.**

# დადგა დრო გონივრული დასკვნები გამოვიტანოთ

70 დღეა, რაც უკრაინასა და რუსეთს შორი ომი მიმდინარეობს, ამასთან არანაკლებ ბინძური საინფორმაციო ომია მედიაში, განსაკუთრებით ტელევიზიებში. მედია წალეკა ანტიქართულმა და პრორუსულმა მოწოდებებმა, თითოეული მოქალაქის ვალია დადგეს ჭეშმარიტების მხარეს.

უკრაინა-რუსეთს შორის ატეხილ ომის დასაწყისში აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა ერთსულოვნება გამოხატეს და უკრაინას დიდძალი თანხა და სამხედრო ტექნიკა გამოუყვეს. მაგრამ ომი ორ თვეზე მეტია გრძელდება და უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი თითქმის ყოველდღიურად აცხადებს სამხედრო ტექნიკა, ტყვია-წამალი არ გვყოფნისო, ევროპის სახელმწიფოებს აღარ ესმით უკრაინელთა ღაღადისი, დამატებით იარაღის მოწოდების, უკრაინის ცის ჩაკეტვის თაობაზე. რუსეთის წინააღმდეგ გამოცხადებული სანქციების შესრულება დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. ეს რომ ასეა, ერთ მარტივ მაგალითს მოგიყვანთ. უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე რუსეთის ბიუჯეტში ევროპის ქვეყნების მიერ შესყიდული რუსული გაზის საფასურის სახით 40 მილიარდი დოლარი შევიდა.

**ძალიან მაინტერესებს სად გაქრა ამ ქვეყნების სანქციები? რატომ არ ააფეთქეს უკრაინელებმა რუსეთის გაზსადენები, რომლებითაც გაზი ევროპის სახელმწიფოებს მიეწოდება და ასეთ სიტუაციაში რატომ უნდათ საქართველოს ჩათრევა ამ უაზრო ომში.**

დღეს დასავლეთი ევროპა უკრაინის გავლით იღებს რუსულ გაზს, ნავთობს, სხვა სტრატეგიულ ნედლეულს, რუსეთთან ვაჭრობა კოლექტიურ დასავლეთს აწყობს, საინტერესოა, რატომ არ დაწესდა სანქციები რუსულ ხელოვნურ საფირონზე, რომლითაც სმარტფონებს ამზადებენ, რუსულ ალუმინზე, ინერტულ აირებზე და ა.შ.

**ვის აყრიან თვალში „ნაცარს“, თვალნათლივ ჩანს, რომ ამერიკამ და ევროპამ გააბრიყვეს უკრაინის ხელისუფლება და შეგნებულად დაანგრევინეს ქალაქები, მილიონობით ადამიანი ლტოლვილებად აქციეს, ათასობით მშვიდობიანი მოსახლეობა დაიხოცა, მათ შორის ბავშვებიც.**

ახლა დიდი აურზაურია ჩვენში, რადიკალური ოპოზიცია კატეგორიულად მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებამ გახსნას მეორე ფრონტი რუსეთთან, სანქციები გამოუცხადოს რუსეთს, შეწყვიტოს ყოველგვარი ვაჭრობა რუსეთთან და ა.შ. ოპოზიციური ტელევიზიები ყოველდღიურად მოგვიწოდებენ, რუსეთში დამზადებული პროდუქცია არ ვიყიდოთ, ბოიკოტი გამოვუცხადოთ რუსეთს და ამ გზით დავამარცხოთ. (ასეთი ბოიკოტი ერთხელ უკვე გამოვუცხადეთ რუსეთს 90-იან წლებში. სამტრედიაში რკინიგზა გადაკეტეს რევოლუციის მომხრეებმა რა სიკეთეც მივიღეთ, კარგად გვახსოვს, ახლაც ასეთივე სისულელისკენ მოგვიწოდებენ).



**მინდა ზოგადად შევახსენო „ომის მომხრეებს“, მაშინ ნუ მოვიხმართ რუსულ გაზს, არც წყალი დავლიოთ, იგი რუსებმა იყიდეს, ნურც დენს მოვიხმართ რუსულია, არც პური ვჭამოთ ისიც რუსულია.**

**საქართველოს სანქციები რუსეთისათვის იგივეა სპილოს რომ ქინქლამ უკბინოს, ნუთუ ამდენს ვერ ხვდებიან ქართველი ოპოზიციონერები.**

ახლა მოდაშია საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა, ლანძღვა, ათასი სისულელის დაბრალება, მოძმე უკრაინის გვერდში არ დაუდგაო.

საქართველოს მტრები და დამნაშავეები მოკალათებულნი არიან უკრაინის ხელისუფლებაში, ვგულისხმობ ადეიშვილს, მერაბიშვილს, ლორთქიფანიძეს, არახამიას და სხვებსაც. ეს ადამიანები არც მალავენ, არც უარყოფენ თავიანთ ქმედებებს. დანილოვის განცხადების შემდეგ ნათელი გახდა, ისინი ყველანი ერთად მონაწილეობენ, როგორმე ომში ჩაითრიონ საქართველო და ქართველი ხალხი.

**ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი წერს:**

**– არც ერთ ქვეყანას იმაზე მეტი არ გაუკეთებია უკრაინისათვის, რამდენიც საქართველომ და ქართველმა ხალხმა;**

**არც ერთ ქვეყანას იმაზე დიდი სიმწარე არ განუცდია რუსეთისგან, როგორც საქართველოს;**

**არც ერთ ქვეყანას იმხელა მსხვერპლი არ გაუღია უკრაინისთვის, რამდენიც საქართველოს;**

**არც ერთი ქვეყნის მებრძოლი მოხალისე, არ არის უკრაინაში, რამდენიც ქართველია;**

**რა საქციელია ეს ზელენსკისგან? არ მომწონს და ეჭვი მაქვს, რომ ერთგვარი ნაბიჯია საქართველოს ომში ჩასათრევად, მეორე ფრონტის დასაქოქად.**

**ცნობილი პოლიტოლოგი და ანალიტიკოსი ამირან სალუქვაძე წერს:**

**– როგორ უნდა გძულდეს საკუთარი ქვეყანა, რომ უკრაინის ხელისუფლების მხრიდან გახმოვანებული გაუგონარი ცილისწამებების ტირაჟირება და მხარდაჭერა მოახდინო, იმის ნაცვლად, რომ საკუთარი თავმოყვარეობის შელახვად მიიღო. რაის იარაღით რუსეთის მომარაგება, თქვენ ხომ არ გაჟრიალებთ?!**

**– სიჩლუნგესაც ხომ აქვს ზღვარი?! იარაღის საწყობები და ქარხნები ურალში და ციმბირში იმდენი აქვს რუსეთს, მსოფლიოს ერთი საუკუნე ეყოფა საომრად. საქართველოს გავლით რა და ვისგან უნდა წაიღონ რუსეთში? გეოგრაფიასთან როგორ ხართ? 30 წელია რუსეთი გვაბრალებდა პანკისის ხეობის გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში ტრანზიტს. ახლა, თურმე, საქართველოს გავლით რუსეთში ჩადის რაღაც იარაღი. სასაცილო იქნებოდა, შეურაცხმყოფელი რომ არ იყოს. მიზანი იგივეა: სიტუაციის არევა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თავის დახსნა. ამისათვის ქვეყანას თავზე დაიმხობენ. საინტერესოა, მეორე ფრონტის გახსნას როცა გვთხოვდნენ, სულ ახლახანს, მაშინ არ ჰქონდათ ეს ე.წ. ინფორმაცია? არ ვიცი, მთავრობა რას მოიმოქმედებს და რა პასუხს გასცემს, მაგრამ დროა, მოსახლეობა იყოს ფხიზლად, რათა შიდა და გარე ძალებმა, რაიმე დიდ პროვოკაციასა და უბედურებაში არ გაგვხვიონ.**

**ჩვენი თანამოქალაქე ვლადიმერ ზედგინიძე აცხადებს:**

**– მტერმან ლოდი მომახვედრა, მოყვარემან ვარდის კონა, ეგრე მტერმან ვერ მატკინა, მოყვარისგან შემაღონა. ბრძენი ქართველების დანატოვარია და თანმდევი ჩვენი ყოველდღიურობისათვის, მაგრამ ამდენი „პარანოიით“ შეპყრობილი ჩვენს თავს?! ნამდვილად დროულად ამოსაშრეტია ბოლოს და ბოლოს, კმარა მათი დაუკრეფავში ბოდიალი.**

**ვალერიან ლომიძე**

# სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაწეული მუშაობის ანგარიში

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამას წინათ მოისმინა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“-ს დირექტორის ქალბატონ **ნინო ბენდელიანის** 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება „ბორჯომის ჯანმრთელი მომავალი“-ს 2021 წლის ფისკალური გეგმა შეადგენდა 2 187 250 ლარს.

გაერთიანების მიერ ჩატარდა კვების პროდუქტების ტენდერები, რომლის საფუძველზეც მთელი წლის განმავლობაში მარაგდებოდა თერთმეტივე საბავშვო ბაღი.

კვების ტენდერის ეკონომიის ხარჯზე წლის ბოლოს დეკემბერში თითოეულ აღსაზრდელზე გაიცა საახალწლო ნობათები.

ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ შეიქმნა ახალი კორონა ვირუსით გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის, ამის საფუძველზე გაერთიანების მიერ მოხდა სამოქმედო გეგმის (პროტოკოლის) დამტკიცება ბრძანებით, რომლის სრული დაცვითაც ფუნქციონირებდა თერთმეტივე საბავშვო ბაღი.

Covid 19-ის პანდემიის გამოცხადების შემდეგ 2020 წლის 1 მარტიდან გაერთიანებაში შემავალ თერთმეტივე საალმზრდელო დაწესებულებაში შეწყდა საალმზრდელო პროცესი, ხოლო 2020 წლის მუნიციპალიტეტის წერილის საფუძველზე გაერთიანებას დაევალა მუნიციპალიეტეტის მასშტაბით საბავშვო ბაღების აღსაზრდელების სრულფასოვანი კვების უზრუნველსაყოფად მოეხდინა არამალფუჭებადი საკვები პროდუქტების გაცემა აღსაზრდელების ოჯახებისთვის.

გაერთიანების მიერ უკვე არსებული კვების პროდუქტების ტენდერის ფარგლებში 2020 წლის აპრილიდან დაიგეგმა და 2021 წლის იანვარ-თებერვალში გაგრძელდა სასურსათე პაკეტების გაცემა 840 აღსაზრდელის ოჯახებზე დაფასოებული სახით, ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების სრული დაცვით.

კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით თითოეულ აღსაზრდელზე შეძენილი იქნა სხვადასხვა საჭირო საკანცელარიო ნივთები და ინდივიდუალურად განთავსდა პაკეტებში.

საჭიროებიდან გამომდინარე კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შეძენილ იქნა: ჰიგიენური საშუალებები (ერთჯერადი პირსახოცები, ხელსაწმენდები), სხვადასხვა სამედიცინო და სახარჯი მასალა. ყველა საბავშვო ბაღში რეგულარულად ტარდებოდა დეზინფექცია, დერატიზაცია.

თერთმეტივე საბავშვო ბაღში ჩატარდა სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა. განმეორებითი კვლევის შემდეგ საჭირო გახდა ყვიბისის და ახალდაბის საბავშვო ბაღების მომარაგება სასმელი წყლით.

ვინაიდან 2021 წელს სრული დატვირთვით არ მუშაობდნენ გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაღები კომუნალურის ეკონომის ხაჯზე წლის ბოლოს დაიგეგმა სხვადასხვა ღონისძიებები, მაგალითად;



გაერთიანების მიერ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ მოდულის პირველი ეტაპი, გადამზადდა თერთმეტივე საბავშვო ბაღიდან შერჩეული 25 აღმზრდელი, რომელთაც გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

საბავშვო ბაღები აღიჭურვა კომპიუტერებით, აგრეთვე შეძენილი იქნა პროექტორი, რათა ხელი შეგვეწყო აღმზრდელებისათვის სწავლის პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის.

თერთმეტივე საბავშვო ბაღის თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის თემატურად შერჩეული და შეძენილი იქნა ტენდერის ფარგლებში შესაბამისი სერთიფიკატით დამოწმებული ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები. თითოეული ჯგუფისთვის შეძენილი იქნა შემეცნებითი წიგნები.

2-დან-6 წლამდე ასაკის ჯგუფებისთვის დაიბეჭდა მეთოდური სახელმძღვანელო „ადრეული განათლების კულიკულუმი თამაში“-ს პირველი და მეორე ნაწილი, ასევე „რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს“.

სტანდარტის შესაბამისად ტენდერის ფარგლებში, გაერთიანებაში შემავალ თერთმეტივე საბავშვო ბაღში დაინერგა „საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა „HACCP“, თითოეული საბავშვო ბაღისთვის შემუშავებული იქნა გეპ ანალიზი, ინფრასტრუქტურისა და სამუშაო გარემო პირობების გაუმჯობესების მიზნით შედგა სამოქმედო გეგმა, რომლის შესრულებაც განხორციელდა მითითებულ ვადებში, ასევე გადამზადდა პერსონალი “HACCP”-ის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, გადამზადება ჩაუტარდა 47 თანამშრომელს რომლებსაც გადაეცათ სერთიფიკატები. თერთმეტივე საბავშვო ბაღის სამზარეულო აღიჭურვა ჰასპის სტანდარტის შესაბამისად, დამონტაჟდა სპეცგამწოვები, ასევე შეძენილი იქნა მაღალი ხარისხის სპეციალური ხორცის მანქანები და მტვერსასრუტები.

№1 საბავშვო ბაგას სამზარეულო და საწყობ ოთახებს ჩაუტარდა კოსმეტიკური რემონტი, ახალდაბის სამზარეულოში მთლიანად შეიცვალა ჭერი, ხოლო ვარდგინეთის საბავშვო ბაღში მოეწყო საწყობი ოთახი და დამატებით ერთი საპირფარეშო.

თითოეული ბაღის სამზარეულოს ფანჯრებზე განთავსებული იქნა მწერებისგან დამცავი ბადეები.

მუნიციპალიეტეტის მიერ საბავშვო ბაღებში განხორციელდა გათბობის ქვაბების გატანა შენობის გარეთ, რის გამოც საჭირო გახდა ბაღებში გაზის სიმძლავრის მომატება და ოთხ საბავშვო ბაღში შიდა ქსელის მოწყობა.

ხელმისაწვდომობის მიზნით, ვინაიდან ქვაბისხევის, ჩითახევის და დვირის მიმართულებით არ მოძრაობს მუნიციპალური ტრანსპორტი დვირის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს აღნიშნული სოფლებიდან ემსახურება სამარშუტო ტაქსი.

№3 ლიკანის საბავშვო ბაღისთვის შეძენილ იქნა ელექტრო პიანინო.

2021 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შეირჩა 10 სამიზნე მუნიციპალიეტეტს შორის. პროექტის დამკვეთი იყო საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)-ი, ხოლო პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია „საბავშვო ბაღების მხარდამჭერი ასოციაცია KSA, რომლის მთავარ პროფილსაც წარმოადგენს საბავშვო ბაღების განვითარების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში ა(ა)იპ ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის შეიქმნა აღსაზრდელთა ჩარიცხვა-ამორიცხვის ელექტრონული რეგისტრაციის მოდული, რომლის დანერგის ხელშეწობაც მიმდინარეობს. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ გაერთიანებას საჩუქრად გადმოეცა ორი პერსონალური კომპიუტერი მრავალფუნქციური პრინტერებით.

მიუხედავად ბევრი გამოწვევებისა ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებამ მუნიციპალიტეტის დაფინანსებით და სრული მხარდაჭერით შეძლო თერთმეტივე საბავშვო ბაღში რეგისტრირებული თითოეული აღსაზრდელისთვის ხარისხის სტანდარტის შესაბამისად მიეწოდებინა მომსახურება და შეექმნა მათთვის უსაფრთხო გარემო.

## გამოხმაურება

# მეტი ტოლერანტობა გვმართებს

**გაზეთ „ბორჯომის“** აქტიური მკითხველი ვარ, პენსიონერ მოხუც კაცს კითხვისთვის მეტი დრო მაქვს. ბოლო ხანს ინტერესით გავეცანი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ დიალოგს ქალბატონ მონიკა ჭანტურიას (რომელსაც მე ძალიან დიდ პატივს ვცემ, კარგ პიროვნებას და ნიჭიერ პედაგოგს) და ბატონ უშანგი ჯანგირაშვილს. მეც „ძველი თაობის“ გახლავართ და ალბათ ამიტომ ვარ უშანგის მხარეს, საბჭოთა კავშირის ნოსტალგია რომ აქვს. ჩემი აზრით, მართლაც არ უნდა დაშლილიყო საბჭოთა კავშირი, მხოლოდ ის შეცდომები უნდა გამოსწორებულიყო, რაც ამ უზარმაზარ ქვეყანას გააჩნდა. მაგრამ შეცდომები როგორ გამოსწორდებოდა, როცა ქვეყანას სათავეში მოღალატეები ჰყოლია! მეც გაოცებული დავრჩი ჟურნალისტ მაყვალა ბერიანიძის ინტერვიუთი ედუარდ შევარდნაძესთან. რას წარმოვიდგენდი, ეს კაცი, რომელსაც მზე ჩრდილოეთიდან ამოსდიოდა, თურმე ქვეყნის მოღალატე ყოფილა“

მინდა ახალგაზრდა, პერსპექტიულ ჩემს კოლეგას, პედაგოგს, ქალბატონ **მონიკა ჭანტურიას ვუთხრა, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერი ცუდი და დასაგმობი არ იყო, სასიკეთო ღონისძიებები ხორციელდებოდა ღარიბი მოსახლეობისათვის.** მაშინ მთავრობა უბრალო ადამიანებზე მართლა ზრუნავდა. ბატონმა უშანგიმ ბევრი რამ ჩამოთვალა, მაგრამ ის მაინც ზღვაში წვეთია მაშინდელი სიკეთეების ჩამოსათვლელად. თუნდაც ის, რომ სტუდენტები სტიპენდიას იღებდნენ, ახლა კი სწავლის საფასური სტუდენტმა უნდა გადაიხადოს, რაც ყველას არ შეუძლია. ამიტომაა, რომ ბევრი სტუდენტი ან ანებებს სწავლას თავს, ან აკადემიურ შვებულებას იღებს. ამის მაგალითი პირადად ჩემს ოჯახსაც შეეხო, - ჩემმა შვილიშვილმა აკადემიური შვებულება აიღო და მუშაობს, იქნებ რაიმე მოვაგროვოო. (მე კი ვფიქრობ, ისეთი ცოტა ხელფასი აქვს, რომ ეს შეუძლებელია). მშობლები უმუშევრები არიან და ჩვენი 300 ლარიანი პენსიით როგორ დავეხმარებით. ასევე ძველად შეღავათიანი მგზავრობა ჰქონდათ სტუდენტებს და უფასო საერთო საცხოვრებლები. იმ პერიოდში სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მკურნალობა თუ დასვენება უფასო იყო, ან ძალიან იაფი, მედიკამენტები ხელმისაწვდომი, არსებობდა დიეტური სასადილოები ქალაქებში, სადაც ადამიანები კაპიკებში დანაყრდებოდნენ. პროდუქტების, ტანსაცმლის, საწვავის ფასები იყო მიზერული და მაშინ ხალხი ერთმანეთს ღიმილით ხვდებოდა. იყო მეტი სიამტკბილობა. ამიტომ მეც ნოსტალგია მაქვს საბჭოთა კავშირისადმი. ჩვენ მაშინ არ ვანსხვავებდით, ვინ რა ეროვნების იყო, ყველა ერთმანეთს პატივს ვცემდით. ჩემი ოჯახიც ინტერნაციონალურია. მეუღლე ნელია მერცი ეროვნებით გერმანელია, ჩემი ძმის მეუღლე ანასტასია ტალკო უკრაინელია. ჩემი შვილიშვილი დანიელ ღამბარაშვილი ცხოვრობს მოსკოვის ოლქში და მასთან და მის ოჯახთან მხოლოდ სატელეფონო კავშირი გვაქვს, ვინაიდან ფიზიკურად გარკვეული მიზეზების გამო ველარ ვახერხებთ შეხვედრას. მეორე შვილიშვილი თამაზ ლებედევი (დედის გვარზეა) დღე-



ისათვის თბილისში ერთ ერთ გუნდში ფეხბურთს თამაშობს. მას მიწვევა ჰქონდა რუსეთში, მაგრამ არ წავიდა „მე მინდა საქართველოში ვიცხოვრო და აქ ვითამაშოო“.

მე და ჩემი მეუღლე თავს ბედნიერად ვგრძნობთ, ვინაიდან 50 წელი ერთად ვართ, შევქმენით თბილი და მყუდრო ოჯახი, გვყავს შვილები და 6 შვილიშვილი. ვამაყობთ ოჯახით და შთამომავლობით.

მე პროფესიით ისტორიკოსი და სამხედრო საქმის პედაგოგი ვიყავი, ჩემი ყოფილი მოსწავლეები დღესაც მოწიწებით მხვდებიან და თბილად მესალმებიან, რაც ძალიან მახარებს. ასევე შეთავსებით ვმუშაობდი სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, ტურბაზაში ექსკურსიამძღოლად, ინსტრუქტორად, კულტმუშაკად, ვართობდი დამსვენებლებს და დამყავდა ექსკურსიებზე, ვაჩვენებდი საქართველოს ღირსშესანიშნაობებს, ვუყვებოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიას და ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ჩვენგან წასული 15 რესპუბლიკის მოქალაქე დამსვენებლები დიდხანს მეკონტაქტებოდნენ. შევიძინე ძალიან ბევრი მეგობარი, თუმცა ამ ბოლო წლებში ათეულობით ადამიანი თუ კიდევ მიკავშირდება, ისინი არიან უფრო შორსმავალი მანქანების მძღოლები, რომლებიც ჩამოდიან ბორჯომში, მოაქვთ ჩამომსხმელ ქარხნებში საჭირო მასალები და აქედან მიაქვთ ბორჯომის მინწყალი სხვადასხვა სახელმწიფოში, მათ შორის ევროპაშიც. ეს მძღოლები არიან რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ოსები, სომხები. მე მათთან ვმეგობრობ, ჩვენი სტუმართმოყვარეობიდან და ჩემი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ვეპატიჟები ოჯახში, ჩაიზე, ყავაზე; ვათვალიერებინებ ბორჯომს და მის შემოგარენს, რისთვისაც მადლობას და მადლიერების სიტყვებს არ იშურებენ. უკრაინელებთან უკრაინულად ვსაუბრობ, უკრაინული ენა მეტნაკლებად ვიცი. ჯერ დასავლეთ უკრაინაში ვიმსახურე ჯარში თითქმის 3 წლამდე და შემდეგ ულამაზეს ქალაქ დნეპროპეტროვსკში ვიცხოვრე. მეტირება და გული მტკივა, რაც დღეს ხდება ორ მოძმე ერს შორის.

ახლა კი დავუბრუნდეთ ისევ იმ ნაწილს, რაზედაც თავიდან დავიწყე. ინტერესით გავეცანი ქალბატონი მონიკა ჭანტურიას წერილს **„უნდა მივილოთ თუ არა რუსები?“** მესმის, რომ ქალბატონი მონიკა ლტოლვილია და მას შეიძლება ეზიზღებოდეს რუსები. მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ, ჩემი აზრით, **ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ რუსი პოლიტიკოსები და ჩვენნაირი უბრალო ხალხი.** აქ კი ვინ გამოიქცა, გასაგებია, ის ხალხი, რომლებსაც იქ აღარ დაედგომებოდათ, ანუ საწყალი მშრომელი ხალხი, მართლაც ხომ ყველა რუსი აგრესორი არ არის. მითუმეტეს, თუ ზოგიერთ მათგანს იმის საშუალება აქვს, რომ აქ რაიმე ბიზნესი წამოიწყოს, ქართველ უმუშევრებსაც დაასაქმებენ. ვფიქრობ, ეს სასიკეთოა და თუ მათ შორის ვინმე არაკაცი, ჯაშუში შემოყვა, ვფიქრობ, ეს უკვე ჩვენი უშიშროებისა და სამართალდამცველი ორგანოების საქმეა.

ორიოდე სიტყვით კი მინდა ისიც აღვნიშნო, რომ მე თითქმის ყველა არხებს ვუყურებ და ვუსმენ და მერე ჩემთვის ვაკეთებ ანალიზს. ისედაც მცირერიცხოვან საქართველოს ღმერთმა არ ქნას, ომი რომ მოუწიოს, ალბათ გადავშენდებით. ყველაზე მისაღები, ჩემი აზრით, მეტი გონიერება მართებს ხელისუფლებას, ოპოზიციას..

უფალმა დაიფაროს ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა და რაც შეიძლება მალე შეწყდეს ის, რაც დღეს ჩვენ მოძმე უკრაინაში ხდება.

**თამაზ ღამბარაშვილი,**
**რველის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი.**

## მრავალი შვილი ერის უკვდავებაა!

# ყველაზე თბილი დედის ღიმილია



**13 წლიანი ოჯახური თანაცხოვრება და ოთხ შვილზე ყოველდღიურად ზრუნვა, სიყვარულით, ბედნიერებით სავსე ღიმილი, ვარსკვლავებივით მოციმციმე პატარების თვალები, საბას, ანასტასიას, ლილეს და 7 თვის სესილის ჟრიამული სახლის ყველა ოთახში რომ ისმის, ასეთია ახალგაზრდა მშობლების მარი ბიჭიკაშვილისა და გელა ლაზარევის ოჯახის მყუდროება.**

წელიწადის ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი - ოთხი დაბადების დღეა. ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავენ მას და ორი თვით ადრეც კი იწყებენ მზადებას, აწყობენ გეგმებს, თუ როგორი იქნება დაბადების დღის დღესასწაული. ამ დღის მოლოდინი ძალიან დიდია და შესაბამისად ემოციებით დატვირთულიც. ლილეს ყოველდღე დაბადების დღე აქვს, რადგან ხშირად ვჩუქნით საჩუქრებს და ვუწყობთ სიურპრიზებს ოჯახის წევრები.

დილა მათთვის ძალიან ადრე იწყება. სკოლისათვის მზადება მთავარი რიტუალივითაა. სკოლის გაცდენა გარდაუვალი აუცილობლობის გარდა დაუშვებელია. დედა შვილებს დამოუკიდებელ პიროვნებებად ზრდის. ასწავლის ყველა აუცილებელ და მნიშვნელოვან ქცევას, ერთად კითხულობენ ზღაპრებს, იგავ-არაკებსა და მოთხრობებს, პატარებმა კარგად იციან ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მნიშვნელობა.

- არასდროს არ ვზღუდავ თუ სურთ ეზოში, მარკეტში ჩასვლა. მინდა თავიდანვე მიეჩვიონ დამოუკიდებლობას.

- სასიამოვნო და ბედნიერების მომგვრელია, უყურებდე ოთხ დედმამიშვილს როგორ ზრუნავენ ერთმანეთზე, როგორ სიყვარულს გამოხატავენ ერთმანეთისადმი. დიდი სიყვარულია ბავშვებში. საბა და ანასტასია ზრუნავენ დებზე, სულ ეფერებიან და ანებივრებენ. ჩახუტების, მოფერების ემოცია მთელ სახლს ათბობს და ალამაზებს, - გვითხრა მარიმ და ყველაზე თბილი დედის ღიმილით გაგვიღიმა.

მეოთხე შვილი, რომ შემეძინა, გავაცნობიერე, დიდი ბედნიერებაა მრავალშვილიანთა დედობა. მამის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. პასუხისმგებლობაა როგორ აღზრდი შვილებს. ვცდილობ, მაქსიმალურად შევასრულო ყველაზე მნიშვნელოვანი - დედის მოვალეობა.

ანასტასია 9 წლისაა, მზრუნველია პატარა დების მიმართ და შეძლებისდაგვარად ეხმარება, აკეთებს იმას, რაც მასაც სიხარულს გვრის.

საბა 11 წლისაა, თავისებურად თბილია, პირველი შვილია და მაინც განსხვავებულია, მის მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება გვაქვს. გოგონები ვზრუნავთ საბაზე, - ამბობს მარი ჩვენთან საუბრისას.

- არასოდეს არ ვარ მოდუნებული დედა, დაღლილობა არ გვეპატიება. ზოგჯერ ორივე გოგონა მყოლია ავად. პირველ ეტაპზე გამოცდილებას მივყოლილვარ, შემდეგ ექიმთან კონსულტაციისთვის მიმიმართავს. არ ვიბნევი რთული ვითარების დროს.

ჩვენმა რესპოდენტმა მშობლიური რუსთავივით შეიყვარა ბორჯომი. თუ ქალაქიდან გადის, რაც შეიძლება მალე ბრუნდება უკან. თავდაპირველი უცხო ქუჩები დღეს ნაცნობი და ულამაზესია მისთვის.

მარი ააიპ ბორჯომის კეთილმოწყობის სამსახურის მთავარი სპეციალისტია, სამომავლოდ დეკრეტული შვებულების შემდეგ სამსახურს ისევ დაუბრუნდება. ვაჟის და 3 გოგონას დედობა პასუხისმგებლობას უასმაგებს.

ღირსეულად ეტარებინოს მრავალშვილიანი დედის სტატუსი და უფალი ჰფარავდეთ.

**იზა იანვარაშვილი**

კულტურის ქრონიკა

# „სტუმარ-მასპინძელი" ბორჯომის სცენაზე



**მესხეთის (ახალციხის)** დრამატული თეატრის დასი კვლავ ესტუმრა ბორჯომის ხელოვნების ცენტრს და ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი სპექტაკლი - ვაჟა ფშაველას **„სტუმარ-მასპინძელი"** წარმოადგინა. მოლოდინს გადააჭარბა მსახიობების ოსტატობამ, საოცარმა მუხტმა, რომელიც სცენიდან დარბაზში ყველაზე კარგად იგრძნობოდა. რიტუალური ტრაგედია ერთ მოქმედებად შეასრულეს, მაგრამ გგონია ვერავინ იქნება ჯოყოლა, ვერავინ განასახიერებს ზვიადაურს ისე, რომ გადაგიყვანოს ხევსურეთში, ქისტეთში. ძალიან დინამიურად მიმდინარეობდა, თითქოს ერთი ამოსუნთქვით კულმინაციური დასაწყისიც და დასასრულიც. მსახიობებს მაღალ დონეზე ჰქონდათ პასუხისმგებლობა გათავისებული და უძველესი ტრადიციების პირისპირ ოცდამეერთე საუკუნიდან თავიანთი სიტყვა თქვეს. სამხატვრო ხელმძღვანელი, ქალბატონი **ლია სულუაშვილი** მთელი სპექტაკლის მანძლზე განუყოფელი ნაწილია, ნისლში მდგარი „აჩრდილია", რომელიც ცდილობს აქ მყოფებს შეახსენოს: **„სიკვდილი ყველას გვაშინებს, სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიაო"**. სანახაობის მოყვარული საზოგადოება უნდა განვითარდეს, წინ წავიდეს, უარი თქვას ისეთ ტრადიციებზე, რომელიც გაიძულებს ახალი ცოდვა ჩაიდინო - „არა კაც კლა!" ვაჟა-ფშაველამ ყველას აჯობა! მისი აზროვნება გასცდა კონკრეტულად ქართულ ტერიტორიას და თქვა, რომ ადამიანი ყველაზე მთავარი პიროვნებაა დედამიწაზე! პიროვნებას უნდა მისცე გასაქანი! მაყურებელი სულგანაბული უსმენდა ყოველ სიტყვას, ბევრს, ალბათ გაახსენა სკოლის წლები, როცა ეს ნაწარმოები ისწავლა. დღესაც როგორი აქტუალურია მასში დასმული პრობლემები, დღესაც გვიჭირს სტუმარს დავარქვათ სტუმარი, შევძლოთ მისი დროული ამოცნობა და ვიყოთ ღირსეული მასპინძელი.

მისასალმებელია თუკი მსგავსი აქტივობები კიდევ ჩატარდება ბორჯომში, რადგან საზოგადოება მოწყურებულია კარგ თეატრს, ღირებულ თემებს.

პოეზიის კუთხე

## ღმერთო სად ხარ? შეაჩერე ომი!

დღეს ჩემს ფიქრებს მოერია სუსხი,
გარეთ მარტის თეთრი თოვლი დნება,
გასროლილი მტრის ტყვიები ურცხვი,
უანგარო ბავშვებს გულში ხვდება.
იფერფლება დღეს სიცოცხლე ურჩი,
ირგვლივ კვამლი და წყვდიადი დგება,
ისადგურებს ეს მტანჯველი მწუხრი,
ცრემლი მოდის, არაფრით არ შრება.
ჭკნება ახლად დაკვირტული ნუში,

სიყვარული და სიკეთე ქრება,
იბრძვის სადღაც მშვიდობისთვის სული,
მაგრამ იქაც ბოროტების ტყვეა.
მთის ფერდობზე ობლად დარჩა "ნუკრი",
ყოველ ღამეს დიდი შიშით ხვდება,
ღმერთო სად ხარ? შეაჩერე ომი,
დედამიწა ჯოჯოხეთში კვდება.

**დიანა გეგეშიძე**

## კონიაკი „ოქრომელი" გაგვაოცებს!

**სოციალური** ქსელით ხშირად სასარგებლო სიახლეს აღმოაჩენ. ეკრანზე გამოჩნდა ლამაზი დიზაინის ბოთლი კონიაკით და წარწერამ მიიპყრო ჩემი ყურადღება: „ოქრომელი". მართლაც ოქროსფერი სითხით და ავტორის მოსაძებლად დიდი დრო არ დამჭირვებია. **ოთარ ოქრომელიძეს** ბორჯომელები კი იცნობთ. ჰოდა, მისმა საინტერესო ისტორიამ და „აღმოჩენებმა" არა მარტო მე მომხიბლა, არამედ ახლა მინდა მკითხველიც მოვხიბლო.

არ არის მარტივი ამბავი: გამოიგონო, მიაგნო, დააგემოვნო და გაბედულება გამოიჩინო - სამზეოზე გამოიტანო ახალი ალკოჰოლური სასმელი. მოგეხსენებათ, როგორი დიდი და მრავალფეროვანია არსებული მიმართულებით ბაზარი, თუმცა დარწმუნდებით, რომ ტოლს არ დაუდებს ეს კონიაკი მალე ისეთ ცნობილ ქართულ კონიაკებს, როგორებიცაა სარაჯიშვილი, „ასკანელი" და სხვები. ბატონი ოთარი რედაქციაში გვეწვია და უშურველად მოგვიყვა ისტორიის უცნაური დასაწყისი.




- რამდენიმე ხნის წინ სამკურნალო თვისებები აღმოვაჩინე ერთ-ერთ მცენარეში და დამატებითი ბუნებრივი მინარევებით შევქმენი ფსორიოზის წამალი. საკუთარ თავზე გამოვცადე, შემდეგ ახლობლებზე, ახლა უკვე ეს არეალი შესამჩნევად გაიზარდა. ეს კიდევ ცალკე სასაუბრო თემაა, მაგრამ მე მიყვარს სასიკეთო ექსპერიმენტები და ვცადე იგივე მცენარის ნაყენით სპირტიანი სასმელი. ამას ველოლიავები უკვე მესამე წელია: ფიჭვის კასრებში ვინახავ. ჯერ სასინჯად ერთი ბოთლი, შემდეგ მეორე და დღეს უკვე 100 ბოთლი მზადაა. დაკვირვების პროცესი კი ყველაზე მიმზიდველია: სურნელს, გემოს, შეადარო სხვებს, დეგუსტაცია გაიაროს წარმატებით. მეორე მხარეა გარეგნული დიზაინი, პროდუქციის შეფუთვა. ეტიკეტირება, ე.წ. ჩაჩი - ბოთლის თავსახური - ამ ყველაფერში ჩემი უფროსი ვაჟი დამეხმარა და მადლობა მას გვერდში დგომისთვის. ბოთლს ეწერება: დამზადებულია ბორჯომშ, რეალიზაციას ვფიქრობთ ტურისტულ კონტიგენტზე. რთული გზაა ეს წვრილმანები: პატენტის აღების, ოფიციალურად ინდმეწარმის ეტაპები უნდა გავიარო და შემდეგ შევალთ ბაზარზე.

მე არ ვტრაბახობ და წინასწარ თავს არ ვიქებ, მაგრამ ეს იქნება სრულიად განსხვავებული გემო და შემადგენლობა, რომელსაც ჯერ ანალოგი ვერ მოვუძებნე. მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ ეს მცენარე ვიტამენებსა და ბუნებრივ მინერალებსაც შეიცავს. სახელი გვართან შესაბამისი შევურჩიე - საშვილიშვილო! „ოქრომელი" ყველას გააოცებს!" - გვითხრა ოთარმა.

**მონიკა ჭანტურია**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში". ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

ბორჯომი ასახელა

# ბარბარე შონია ევროპაში მესამეა!




**ჭადრაკში** ასეთი წარმატება არა მარტო ბორჯომს, მთელ სამცხე-ჯავახეთს არ ახსოვს: ბორჯომელი **ბარბარე შონია** ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილის პრიზიორი გახდა და ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდა.

ეს ჩემპიონატი 20-29 აპრილს საბერძნეთის კუნძულ როდოსზე ჩატარდა. მასში მონაწილეობდა ევროპის 23 ქვეყნის 200-ზე მეტი ნორჩი მოჭადრაკე. თავიანთ ასაკში 7-დან 17 წლის მოჭადრაკეები ეპაექრებოდნენ ერთმანეთს. 9 წლის ასაკში ბარბარეს მხოლოდ ინგლისელმა და რუმინელმა მოჭადრაკემ გაუსწრო. ამ ასაკში თავისი წარგზავნილების წარმატების მიხედვით 23 ქვეყნიდან პირველი ათეული ასე განლაგდა: ინგლისი, რუმინეთი, საქართველო, თურქეთი, იტალია, თურქეთი, პოლონეთი, ინგლისი და გერმანია.

განსაკუთრებულ წარმატებას 13 წლის გოგონებმა მიაღწიეს. მათ სამივე საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. 11 წლის ასაკში ერთმა ქართველმა ვაჟმა მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა.

საქართველო მხოლოდ სამი ასაკის მოჭადრაკეებით იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, 23 ქვეყნიდან საქართველო გუნდურად მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა და აქაც მედლები დაიმსახურეს. ასე, რომ ბარბარეს ჯილდოდ გადაეცა მესამე ადგილის თასი, ბრინჯაოს მედალი და ასევე ბრინჯაოს მედალი გუნდის მიღწევისათვის.

მივულოცოთ ბარბარეს ეს წარმატება და ვუსურვოთ უფრო დიდი სიმაღლეების დაპყრობა ევროპულ და მსოფლიო ასპარეზზე!

**უშანგი ჯანგირაშვილი**
**მწვრთნელი**

# მუნიციპალიტეტის მერიის თასის ტურნირი - ბორჯომში



**ბორჯომში,** ახალგაზრდა ძიუდოისტებს შორის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თასის ტურნირი გაიმართა.

შეჯიბრება ბორჯომის ა(ა)იპ სასპორტო სკოლის მიერ იყო ორგანიზებული. მასში 2004-2007 წლამდე დაბადებულმა 500-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ცხრამეტ წონით კატეგორიაში ერთმანეთს საგარეჯოს, ბორჯომის, ახმეტის, ბოლნისის, ახალციხის, ასპინძის, ლენტეხის, სამტრედიის, ფოთის, კასპის მესტიის, თბილისის, თეთრიწყაროს, ტყიბულის, ხობის, გორის, ქარელის, ხაშურის, ქუთაისის, ზესტაფონის წარმომადგენელი გუნდების წევრები ეჯიბრებოდნენ.

გამარჯვებული სპორტსმენები საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა,** მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ნიკოლოზ კიკნაძემ,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარის მოადგილემ **მამუკა ხითარიშვილმა** და ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლებმა მედლებით სიგელებითა და თასით დააჯილდოვეს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თასის ტურნირი ძიუდოში პირველად გაიმართა.

# თემურ ფხიკიძის გამოსათხოვარი

**ბორჯომელი მხატვარი, ბევრი ტაძრის მომხატველი, ხელოვნების პედაგოგი, თემურ ფხიკიძის სულმა იმიერში გადაინაცვლა თავის საყვარელ მეუღლესთან და აქ ტკივილით სავსე შვილებს, შვილიშვილებს დაუტოვეს მონატრება, დარდი. მეუღლეთა დიდი სიყვარული მწამს იმიერშიც გაგრძელდება. მათთან ოჯახში შედგამდით თუ არა ფეხს, მაშინვე ადვილი შესამჩნევი ხდებოდა, რომ სახლის პატრონთათვის სულიერი საზრდო - მხატვრობა და ლიტერატურა ფრიად დაფასებული გახლდათ. კედლიდან დღესაც გვიმზერენ არაჩვეულებრივი ნიმუშები: პორტრეტები, რელიგიურ თემაზე შესრულებული ნახატები. სწორედ, ესაა ალბათ ყველაზე ძნელი, როცა მათ მოსაგონებლად დარჩენილ კვალს უცქერიან. ამ**



**მონატრებამ მიაძღვნევინა შვილს მამისთვის - ბატონი თემურისთვის ეს მცირე ლექსი, რომელიცნ ყველაფრისმთქმელია:**

**იდგა წვიმების სეზონი,
ქარმა წალეკა დრო,
თან გაიყოლა ღიმილი
სევდანარევი შორს.
ბროწეულების ღიმილმა
გადახლეჩილმა ბრდღვიალით,
ფანტაზიიდან ტილომდე,
გადმოიხარეს ღრიალით.
მზესუმზირებმა ედემის,
ყვითლად დაფერეს მინდორი.**

**ბოშა ქალი კი იღიმის,
იღიმის ტკბილად მიმნდობი...
თითო სიცოცხლე ტილოდან,
ფურცლიდან, სახლის კედლიდან,
გაამთლიანებს წვეთ-წვეთად
დაცლილ სიცოცხლეს კეთილად.
და დაიხარჯა სიცოცხლე
წვეთ-წვეთად, ნაწილ ნაწილად,
გადაიხატა დაედნო,
ნახატში გადანაწილდა...**

**მონიკა ჭანტურია**

**ნოდარ ნოზაძე ოჯახით იუწყება, რომ ბატონ ზაურ შერგელაშვილს გარდაეცვალა სათნოებით და კეთილშობილებით გამორჩეული მეუღლე ქალბატონი**
**დალი მერაბიშვილი-შერგელაშვილი**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**